№ 97

შაბათი, 9 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 97

შაბათი, 9 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 მაისს.

ამ ნომერში 22 გვერდია.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

**ბუნება და ცხოვრება**

ილ. ალ ხაზიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 10 მაისს, 1898 წ.

ქართულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

## ყარამანი

ფეერია 3 მოქმედებად და 11 სურათად, ხალხურ ყარამანიანიდგან გადაკეთებული ვლ. ალნიაშვილისაგან

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

ბილეთები არავის არ ეგზავნება (2—უ.—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 20 მაისს, საღამოს 8 საათზედ, ბანკის დარბაზში დანიშნულია

წ ლ ი უ რ ი

**საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

ანგარიში $189^7/_{98}$ წლისა.

არჩევა გამგეობის 7 წევრისა და სამის კანდიდატისა.

არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.

არჩევა საზოგადოების წევრებისა. (4—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26. (50—80—11).

წლიური საზოგადო კრება

**„ქართველ ქალთა ამხანაგობის" წევრთა** დანიშნულია 9 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიატინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, **№ 10.**

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება აღებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (6—უ.—5)

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პირველ კავკასიის საპიორის ბატალიონის პოდპორუჩიკს კვინიტაძეს—პორუჩიკობა და ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს საკანცელარიო მოხელე მინა მაისურაძე დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოლქის გონიის ნაწილის თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სასწავლებელში ეგზამენები დაიწყება 16 მაისს, ხოლო დასრულდება 5 ივნისს.

*** დღეს, 9 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში გამართული იქმნება სამუსიკო და სალიტერატურო დილა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ინსტიტუტთან დაარსებულის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლენიც.

*** 6 მაისს ქალაქის საბჭოს ექიმმა გედალინმა დაათვალიერა ის ბუფეტი, რომელიც საბოტანიკო ბაღშია გამართული, და აღმოაჩინა, რომ ბუფეტი დიდად უსუფთაო მდგომარეობაშია: სამოვრები მოუკალავია, ჭურჭელი ჭუჭყიანი და სხვა. გედალინმა ამის გამო ოქმი შეადგინა.

*** ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი ატყდა იმის შესახებ, რომ დეზინფექცია უყონ ხოლმე ყველა იმ ძველ წიგნებს, რომელსაც ძველის წიგნებით მოვაჭრენი ჰყიდიან ტფილისში. ამ საგნის დაწვრილებით შემუშავება მიენდო ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს.

*** უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ახალი თანამდებობა კახეთის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის თანაშემწისა.

*** ხუთშაბათს, 7 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა ინჟ. რ. ნ. ყაზბეგმა, რომ მე მსურს მოლაპარაკება დავიწყო ქალაქის გამგეობასთან უსახელო საზოგადოებისაგან ცხენის რკინის გზის შესყიდვის საქმის შესახებო.

*** ოთხშაბათს, 6 მაისს, კრება ჰქონდათ გამგეობისა და იმ კომისიის წევრთ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის შუაგულ ადგილას ელექტრონის მანქანა გაჰმართოს ქალაქის გასანათებლად. კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ პირველად ელექტრონით განათებულ იქმნას მიხეილისა და ვორონცოვის მოედანი, ნიკოლოზის ხიდი, იარმუკა, პუშკინის ქუჩა, ერევნის მოედანი, სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ვერის აღმართი და ვერის ხიდი, კირკის ქუჩა, ვაგზალისა, ხიდისყურისა, ბარიათინსკისა, ბაღ-ვაგზალისა, ელისაბედისა, თათრის მოედანი და ბულვარი. შემდეგ მოლაპარაკება დაიწყო პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმან, თუ სად იქმნეს დაარსებული საელექტრონო სადგურიო. ერთნი ამბობდნენ—მადათოვის კუნძულზედ, მეორენი—ქალაქის წისქვილების მახლობლად, მესამენი—ვერაზედაო და სხვა. ამ საქმის გამოსარკვევად საბჭომ დაადგინა ხსენებული ადგილები დაათვალიეროს და ისე გადასწყვიტოს საბოლოოდაო.

*** ხუთშაბათს, 7 მაისს, კრება ჰქონდა სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილი წინადადება ტფილისის გუბერნატორისა, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის ხარჯით განსაკუთრებული სახლი იმ სულით ავადმყოფთა მოსათავსებლად, რომელთა მორჩენის იმედი აღარ არისო. სამკურნალო-სასანიტარო საბჭომ სასურველად იცნო დედათა სამკურნალო შუაგულ ქალაქში იქმნეს დაარსებულიო. ამას გარდა საბჭომ დაავალა ბეითალს ვართანიანცს შეიმუშავოს პროექტი საკლავ საქონლის დაზღვევისა და განსაკუთრებულ გარდასახადის დაწესების შესახებ იმათ დასაჯილდოვებლად, რომელთა დაკლული პირუტყვიც სიწამხდრისა გამო მოსპობილ იქმნება. დადგენილ იქმნა აგრეთვე დედათა საავადმყოფოში იმართებოდეს ხოლმე საჯარო ლექციები და შემოღებულ იქმნას ხელსაქმის სწავლებაო.

*** რამდენად მოსაგები ყოფილა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობა, ამას შემდეგი ცნობები ამტკიცებს „სააფთიაქო საქონლის მოვაჭრეთა კავკასიის ამხანაგობის წარმოებისა".

ეს ამხანაგობა დააარსეს სულ 16 კაცმა, შეაგროვეს ერთს საღამოს 150,000 მანათი, გამოსცეს აქციები, თითო აქცია უწინ ღირდა 500 მანათად, შემდეგ 800 მანათამდე აიწია ამ აქციების ფასმა და ეხლა 1000 მანათადაც იყიდება. ამხანაგობამ სთხოვა მთავრობას, ნება მოგვეცით $^1/_2$ აქციის გამოცემისაო, რომელიც ეღირება 250 მანათად. მთავრობა დასთანხმდა. ყოველ წელიწადს ამხანაგობა ჰყიდის $^1/_2$ მილიონ მანათის სააფთექო საქონელს. გასულ წლის ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამხანაგობის აქციების პატრონს 19% დივიდენდი ჰრგებია, ე. ი. მანათზე 19 კაპეიკი.

*** ტფილისის გუბერნიაში ვენახის წამლობის საქმის უფრო კარგად მოსაწყობად ტფილისის გუბერნატორმა საჭიროდ სცნო, რომ შემდეგ სოფლებში დაარსებულ იქმნას საწყობები ვენახის საწამლავად საჭირო მანქანებისა, წამლებისა და სხვა: სიღნაღის მაზრისა—მაჩხაანსა, კარდანახსა, გურჯაანსა, ველისციხესა, ვაჩნაძიანსა და კაკაბეთში; თელავის მაზრისა: ყვარელსა, ახტანსა, ახმეტასა და თვით ქალაქ თელავში. ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა უკვე მისწერა სიღნაღისა და თელავის მაზრის უფროსებს, რომ ეხლავე მოიწვიონ კეთილ-საიმედო კაცნი, რომ შეიძლებოდეს ამ საწყობების გამგეობა ჩაჰბარდეს. გამგეთ დასაჯილდოვებლად დანიშნული ექმნებათ 5 კაპეიკი იმათ მიერ გაყიდულს ერთს ფუთს გოგირდსა ან შაბიამანში. ხოლო ზედამხედველების კანტროლობა მინდობილი ექმნება მაზრის უფროსებს და სამაზრო ბოქაულებს. ამასთან გუბერნატორმა განაცხდა: სასურველია, რომ მაჩხაანში დასახელებულის მასალისა და ნივთების გასყიდვა იკისროს ადგილობრივმა სავაჭრო დეპომაო. საჭირო მასალის დასაბარებლად მაზრის უფროსებმა უნდა მიჰმართონ ტფილისის მაზრის უფროსს, რომელიც თავისს დროზედ დანიშნულებისამებრ გაჰგზავნის დაბარებულ მასალას. ყოველის თვის 1 და 15 მასალის გაყიდვისაგან შემოსული ფული გამგეთ ადგილობრივ ხაზინაში უნდა შეიტანონ. ასეთი საწყობები გამართული იქმნება აგრეთვე ტფილისის მაზრის ორ სოფელშიაც—ხაშმსა და საგარეჯოში. ტფილისის მაზრის უფროსი მასალას კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში შეიძენს. ამისთვის ტფილისის გუბერნატორმა უკვე მიჰმართა ხსენებულ საზოგადოებას და სთხოვა დაამზადონ ტფილისის გუბერნიისათვის: 5,275 ფუთი გოგირდი, 14,200 ფუთი შაბიამანი, 1,775 ცალი გოგირდის შესაყრელი მანქანა და 180 ცალი ტორპილი და ყველა ეს მასალა და ნივთი მოთხოვნილებისამებრ გადასცენ ტფილისის მაზრის უფროსს. პირველს ხანს მაზრის უფროს გარდაეცემა 150 ფუთი შაბიამანი, 400 ფ. გოგირდი, 15 ტორპილი, 60 სასხურებელი მანქანა და 150 ც. გოგირდის შესაყრელი მანქანა. ამას გარდა, სიღნაღისა და თელავის მაზრის უფროსებთან ამ საქმის გამო პირადად მოსალაპარაკებლად გუბერნატორმა გაჰგზავნა საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. გურამიშვილი.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ტფილისის გუბერნატორის მიერ განზრახული საქმე დიდს სარგებლობას მოუტანს ტფილისის გუბერნიის გლეხებს, განსაკუთრებულ კახეთისას, სადაც უმრავლესობა მხოლოდ მევენახობით სცხოვრობს. ბევრი დღემდის თუ არ სწამლობდა ვენახს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამისათვის საჭირო მასალისა და ნივთების შეძენა ძალიან ძვირად უჯდებოდათ სხვა-და-სხვა ჩარჩ-

ვაჭრებისაგან; რომელთაც ამის ვაჭრობაც, როგორც ყველა სხვისა, ხელთ ჩაიგდეს, მამასისხლად ჰყიდდნენ. დღეს-კი, გუბერნატორის წყალობით, გლეხებს შეეძლებათ თავისსავე ან მახლობელს სოფელში შეიძინონ ყველა ის მასალა და ნივთიც-კი, რაც ვენახის წამლობისათვის არის საჭირო, იმ ფასად, რა ფასადაც მას სამეურნეო საზოგადოებაში ჰყიდიან, რასაკვირველია, გადატანის ხარჯის გარდა. სწორედ დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი გუბერნატორი ასეთის საკეთილო და საშვილიშვილო საქმის დაწყებისათვის.

*** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინაშე წარდგენილს შუამდგომლობაში, რომ ჯეროვანი დახმარება უნდა აღმოეჩინოს ამიერ-კავკასიის შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებლთაო, სხვათა შორის, ნათქვამია: საზოგადოების საბჭომ სტავროპოლის გუბერნიისა და ყუბანის ოლქის გარდა, რომელნიც ოფიციალურად დაზარალებულ ადგილებად არიან ჩარიცხულნი, დაზარალებულ ადგილებად ჩასთვალა: დაღესტნის ოლქი, თელავისა, სიღნაღისა და ტფილისის მაზრები, ყაზახის მაზრა, განჯის გუბერნიის ნაწილი, ზანგეზურისა და შუშის მაზრები, ახალ-ბაიაზეთის მაზრა ერევნის გუბერნიისა და ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრა. ამ ადგილებში ისე მცირე მოსავალი იყო, რომ მცხოვრებელთ არ შეუძლიანთ თავი გამოიკვებონ მომავალ მოსავლამდის. მცირედ მოვიდა საქონლის საკვებიც. რაც მოუვიდა სოფლის ხალხს, სულ ერთიანად გამოელია და ეს გაჭირვება უფრო საგრძნობელი გახდა ამ გაზაფხულზედ. მიიღო-რა მხედველობაში საზოგადოებამ ხალხის ამ გვარი გაჭირვება, საჭიროდ იცნო შემოწირულებათა შეკრება ხელის მოწერით. საჭიროდ იცნო აგრეთვე განსაკუთრებულ კომიტეტის დაარსება, რომელმაც უნდა შეჰკრიბოს შემოწირულება და გაანაწილოს იმის მიხედვით, თუ სად უფრო დიდია გაჭირვება და სად მცირე. მაგრამ რამოდენი შეწირულებაც უნდა მოგროვდეს, მაინც ვერ წამოაყენებს ფეხზედ და ცოტაც არის ხელს ვერ გაუმართავს ზედი ზედ რამდენისამე წლის მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებლებს. სწორედ ეს მოუსავლობა გახდა იმის მიზეზი, რომ სახელმწიფო გარდასახადის მოკრების საქმე ჯეროვანად ვერა სრულდებოდა სოფლის მოხელეთაგან. ამიტომ საზოგადოება სთხოვს ნება-რთვას ხელის მოწერით შემოწირულებათა შეკრებისას და ამ აზრით განსაკუთრებულ კომიტეტის დაარსებას, აგრეთვე შუამდგომლობას შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ სამინისტრომ დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ საიმპერიო თანხიდგან.

*** მცხეთიდგან სწერენ გაზ. „კავკასს“, რომ შაბათს, 2 მაისს, მცხეთის ტაძარი დაათვალიერეს ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეთა და აღმზრდელთა ამ გიმნაზიის დირექტორის დრბოგლავის მეთაურობითაო. გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის დროს ლოცვებს კითხულობდნენ და ჰგალობდნენ თვით გიმნაზიის მოსწავლენი. პარაკლისის შემდეგ, გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მამა არხანგელსკიმ მიჰმართა დამსწრეთ სიტყვით, რომელშიაც აუხსნა, რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამ დიდებულს ტაძარს. ამასთან სთხოვა მათ, რომ შეძლებისამებრ შემწეობა აღმოუჩინონ ტაძრის განახლებისა და შეკეთების საქმეს. გიმნაზიის დირექტორმა მაშინვე ყულაბა დაატარა და ამ საგნისათვის შემოწირულება შეჰკრიბა, რაიცა 30 მანეთამდე შესდგა. მოსწავლეებმა და აღმზრდელთ დიდის ყურადღებით დაათვალიერეს საპატრიარქო ტაძრის „სვეტი-ცხოვლის“ შესანიშნავი ადგილები. ბევრი მათგანი ავიდა ზედა ოთახებში, რომელიც სახურავ ქვეშ არის გამართული. ადგილობრივი სამღვდელოება დიდი მადლობელი დარჩა გიმნაზიის დირექტორისა, მამა არხანგელსკისა, აღმზრდელთა და მოსწავლეებისა, რომელნიც ასეთის თანაგრძნობით მოეკიდნენ ამ ისტორიულ ტაძრის საჭიროებას.

## წერილი ოზურგეთიდგან

საკვირველი ქალაქია ჩვენი ოზურგეთი. ხანდახან ისეთს მოძრაობაში მოდის, ხმაურობს და ბაქი-ბუქობს, ასე გეგონება, საფრანგეთის დეპუტატთა არჩევანები აქ ხდებაო, ერთის სიტყვით, სიცოცხლე სდუღს და გადმოდის. სამაგიეროდ, ხან ისეთ სალათას ძილს მიეცემა, რო გამოღვიძების იმედი გეკარგვის, თითქო მავნე სულს მოუჯადოებიაო „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი“, სრული მყუდროება ჰსუფევს, თითქოს აქაური ახალთაობა სადღაც შორს გარდახვეწილა, ან არა-და დიდის შრომის შემდეგ დაუსვენია და ძალას იკრებავსო. სწორეთ ამ უკანასკნელს ხანაში იმყოფება ეხლა ოზურგეთი. მარტის პირველ რიცხვებიდგან ვიდრე აქამომდე არავის საზოგადო საქმის გამო სიტყვა არ დაუძრავს, ხელი არ გაუნძრევია, თუმცა სამკალი კი ბევრი გვქონდა. აქ სამწუხარო ისიც არის, რომ ძილის დროც ცუდი ავირჩიეთ—გაზაფხული, ის მშვენიერი დრო წელიწადისა, როცა ყოველივე იღვიძებს, ჰმოძრაობს და სიცოცხლით ივსება. რა არის მიზეზი ამ უდროვო ძილისა? ჩემის აზრით ის, რომ სწორეთ ამ დროს ჩვენის ახალ თაოსნობის ხელმძღვანელი და მეთაური ყოველ საზოგადო საქმისა თ. ნ. თ—ძე შორეულს ქალაქში გავისტუმრეთ და დავრჩით უთაოდ. მაგრამ თუ ოზურგეთის ახალ-თაოსნობას საზოგადო საქმისთვის ცოტაოდენი გული შესტკიოდა, შეეძლო ცოტა რამ მაინც გაეკეთებინა, მით უმეტეს, რომ ბ ნმა ნ. თ—ძემ რამდენიმე საქმე უკვე დაწყებული დასტოვა; ჩვენგან საჭირო იყო მხოლოდ გარჯა, ცოტაოდენი ხელის განძრევა და დაწყებული საქმეც დაგვირგვინდებოდა. მე აქ ყოვლთ უწინარეს სახეში მაქვს ოზურგეთის სამკითხველოს და მომავალი თეატრის შენობების საქმე, რომლის საფუძველი ამოყვანილი დასტოვა ბ-ნმა თ—ძემ თავისს პეტერბურგში წასვლის დროს, აგრეთვე დასტოვა ხის მასალაც შენობისათვის მომზადებული და ოც თუმნამდის ფული; მხოლოდ შემდეგი ზრუნვა ამ შენობის აგებისათვის მიანდო კომიტეტს. მას შემდეგ ორი თვე გადის და კომიტეტს ხელიც არ გაუნძრევია ამ საქმისათვის. შენობის ბოძები და საძირკველი ისევ შესაბრალისად სდგას და ელოდება დაბრუნებას ნამდვილ მზრუნველ-ჭირისუფლისას.

რა-კი საუბარი კომიტეტის შესახებ ჩამოვარდა, უნდა მოვიხსენიოთ მეორე კომიტეტიც, რომელიც შემდგარია ქ. ოზურგეთში ქალთა სამეპარქიო სკოლის დასაარსებელ საშუალებათა მოსაპოვებლად. ამ კომიტეტმა იმითი ისახელა თავი, რომ თავისის ათის თვის არსებობის განმავლობაში არა გაუკეთებია-რა, თუმცა თავმჯდომარე კომიტეტისა გულმოდგინედ მოეკიდა საქმეს და დაჰნიშნა კრება, მაგრამ ორ-სამს წევრზედ მეტი კრებას არც ერთხელ არ დასწრებია. კომიტეტებს, როგორც ვიცი, ყველგან ასე სჭირს. მაგრამ ოზურგეთელები ამ მხრივ ყველას გადავაჭარბებთ. ყოველსავე საქმეს დასაწყისში აღტაცებით ვეკიდებით, მაგრამ მერე თანდათან ვდუნდებით და ვივიწყებთ. აი თუნდ პროგიმნაზიის შესახებ. პირველად ამ აზრს მთელის გურიის მცხოვრებნი წოდების განურჩევლად აღტაცებით მიეგებნენ. ქალაქმა შუამდგომლობა აღძრა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ უმაღლესის მთავრობის წინაშე და საქმის სასურველად დაგვირგვინებისათვის ქალაქის თავი თ. ნ. თ—ძე პეტერბურგს გაისტუმრა. ეს იყო და ეს. შემდეგ ამისთვის თავი არავის შეუწუხებია, თუმცა ჩვენს თავად-აზნაურობას სწორეთ ეხლა ჰქონდა მშვენიერი შემთხვევა პროგიმნაზიისათვის ზრუნვისა.

როგორც ვიცით, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის დამაარსებელ წევრთ თავისს ხვედრ ფულს უკანვე უბრუნებენ. გურიის თავად-აზნაურობა, იმედია, ამ ფულის აღებას და კერძო საქმეებში გაფლანგვას არ იკადრებს. მრწამს და მჯერა, რომ ჩვენი მაღალი წოდება ამ საქმეში დიდს გო-

# ფელეტონი

### გიორგი ჭალადიდელის ხსოვნას

სასტიკსა ქარსა ჩრდილოეთისას
ვით აიტანდა ნაზი ყვავილი,
კოლხიდის ტურფა წალკოტთა შორის
აღმოცენილი და გაფურჩქვნილი?..
დასჭკნა ყვავილი... შეწყდა ძგერა
კეთილშობილის მგოსნისა გულის...
ვერღა მოვისმენთ კვლავ ტკბილსა მღერას
ძმობის, ერთობის და სიყვარულის...
ვერ გავიგონებთ ახალსა ჰანგებს,
მაგრამ ძველებსა ხომ ხალხი ჰმღერის?..
ჰმღერის ყანაში, ჰმღერის ლხინის დროს
სადიდებლად მგოსნის სახელის...
ქართველსა დედას უღვიძებს გრძნობას,
მგოსანო, შენი მაღალი რწმენა,
და ჩასჩიჩინებს იგი ნორჩს შვილსა:
„გიყვარდეს, შვილო, სამშობლო ენა!“
ძენი-ასულნი ივერიისა
„და-ძმურად ურთერთს გარდაჰხვევიან“
და, ვით შენ გწადდა, სამშობლო ქვეყნის
ასაყვავებლად ერთად იღწვიან...
კეთილმა თესლმა შენის სიტყვისამ
უცხო ნაყოფი აღმოაცენა.
„ასწლოვან მუხად“ იგი გარდიქმნა,
ქვეყანაც ჩვენი მთლად დაამშვენა...
ამაყად წელში ის გამართულა...
„ბრლა ჩაჰღუნავს აწ მძიმედ თავსა“,
მწვანე ფოთოლნი ამოშრიალით
ქართველს ეტყვიან შენსა ამბავსა:
„აქ, ჩემს ჩრდილს ქვეშე, უკუნის ძალით
„სძინავს მგოსანსა ჭალადიდელსა;
„მე ვარ იმისი მაღალი სული,
„აღმოცენილი კოლხიდის ველსა...
„და ვინც ჩემს ჩრდილს ქვეშ აივს შეაფარებს
„ქვის გულიც ჰქონდეს, მყის გაუთბება:
„იგი გაიგებს, თუ რა ტკბილია,
„მამულის ტრფობა და ერთგულება!“

დიმ. ერისთავი

პეტერბურგი.

## უცხოთა შორის

ქალები მქადაგებლებად და მღვდელმსახურების აღმასრულებლად. — ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობა ქალებისა.—ქალები ექიმებად.—ამ უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა.—ქალები ვექილებად.—სახელგანთქმული ვექილიქალები.

ის თავისუფლება, რომელიც ამერიკელ ქალსა აქვს მინიჭებული უმაღლესის სწავლის მისაღებად, საშუალებას აძლევს ყოველგვარ საქმესა და სამსახურში მონაწილეობა მიიღოს. ამერიკელი ქალები არამც თუ დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში არიან მასწავლებლებად, არამედ თვით კოლეჯებსა და უნივერსიტეტებშიაც-კი პროფესორებისა და რექტორების უმრავლესობას შეადგენენ. ასევე დიდ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში; იმათ მრავლად ჰნახავთ სამაზრო დაწესებულებებში, ხაზინებში, ადგილ-მამულის დამფასებელთა კომისსიაში, საპატიმროების გამგეებად, სამოსწავლო კომიტეტებში, ფოსტა-ტელეგრაფში, ბანკებში, ბიბლიოთეკებში და სხ. და სხ. სალვთის-მეტყველო განათლება, რომელსაც კოლეჯებში იძენენ ქალები, საშუალებას აძლევთ საეკლესიო სამსახურში და ქადაგებაში მონაწილეობა მიიღონ: აი მაგალითად, კვაკერთა შორის 250 მქადაგებელი ქალია, უნივერსალისტთა შორის *) 50, სხვა სექტანტებში კიდევ მრავალი ქალები არიან მღვდლებად და მქადაგებლებად. ბუნას სიტყვით, 1880 წელს უკვე 165 ეკკლესიაში ქალები იყვნენ მღვდელ-მოქმედების აღმასრულებლად. არსებობს აგრეთვე მთელი საზოგადოება ქალთა მქადაგებელთა, რომელნიც ყოველ-წლივ იკრიბებიან და სჯა-ბაასი აქვთ თავიანთ სამოქმედო ასპარეზის შესახებ. რაც შეეხება ამერიკელი ქალების სალიტერატურო ასპარეზს, ამაში ევროპიელებიც არ ჩამოუვარდებიან. თუმცა ევროპაში და ჩვენში ქალს ყოველ-მხრივ გზა აქვს შეკრული, მაგრამ ბუნებრივი ნიჭი მაინც თავისას გაიტანს ხოლმე და დღეს ევროპას ამერიკასთან შეუძლიან მოიტანოს თავი ისეთის შესანიშნავის მწერლებით, როგორნიც არიან ჟორჟ-ზანდ ჯორჯ ელიოტი და მრავალნი სხვანი. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, ამაში არა მგონია ამერიკელ ქალებს წინ უსწრობდეს ვინმე. თუ ევროპაში ხელზე ჩამოსათვლელია ასეთ ქალთა რიცხვი, ამერიკაში მათ თვლა არა აქვთ. ასეთს მხურვალე მონაწილეობას ძველადვე იღებდნენ ქალები ჟურნალ-გაზეთებში, ჯერ ისევ რესპუბლიკის დაარსებამდის 78 გაზეთში 24-ს ქალები სცემდნენ და პირველად მათვე აღძრეს თავიანთსავე ჟურნალებში კითხვა თავისუფლების შესახებ.

ძნელი გამოსაანგარიშებელია, თუ ამ ჟამად რამდენი ქალი იღებს მონაწილეობას ჟურნალ-გაზეთებში, რადგანაც გარდა მრავალის გაზეთებისა, რომლებსაც განსაკუთრებით ქალები სცემენ და თანამშრომლობენ, არიან ისეთნიც, სადაც ქალები კორესპონდენტობენ, რეპორტერობენ, თანამშრომლობენ და სხ., რომელთ სახელიც ცნობილი არ არის. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ცნობებს მოვიყვანთ. მწერალ ქალთა კავშირს ილიონისში 1888 წელს 166 წევრი ჰყავდა, რომელთაგანაც უმეტესობას საკუთარი ჟურნალი ჰქონდათ, დანამშრომლები და რედაქტორების თანაშემწენი იყვნენ გამოჩენილის გაზეთებისა. ამ გვარი კავშირები მრავლად არსებობენ და ლიტერატორი ქალები შეადგენენ მათს წევრებს. ჟურნალ-გაზეთებს გარდა ქალები მხურვალე მონაწილეობას იღებენ კერძოთ მათ ინტერესებისათვის დაარსებულ ორგანოებში. ასეთი ორგანოები ორ გვარი მიმართულებისანი არიან: ერთნი ქალების უფლებათა გასაფართოებლად იბრძვიან, ხოლო მეორენი საოჯახო ორგანოებია, რომლებშიაც მრავლად არიან მოთავსებულნი ახალ-ახალი მოდები და სხვა საოჯახო ცნობები.

მაგრამ უმთავრესად თავი ისახელეს ამერიკის ქალებმა ექიმობაში და ვექილობაში, თუმცა ბევრი გაჭირვება და ვაება კი გამოიარეს ამ უფლების მოსაპოვებლად. ისტორია ამ უფლების მოსაპოებლად ბრძოლისა მეტად საინტერესოა.

ამერიკაში იმიტომ კი არ უკრძალავენ ქალებს ამ ორ მეცნიერების შესწავლას, რომ ვითომ მათ გონებას არ შეეძლოს შეთვისება და გათვალისწინება ამ რთულის მეცნიერებისა, როგორც ევროპაში და ჩვენში სჯიან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათს შესწავლას შეეძლო ვნება მოეტანა მათ სულიერ სიფაქიზესთვის. ეს მეცნიერება იმდენად რთული, საზიზღი და შემაწუხებელია ადამიანისა, რომ საექვოდ მიაჩნიათ, რომ ვნება არ მოუტანოს ქალის უმანკო, წმიდა სულსა და აგებულებასო. რაც შეეხება ბებიობას, ეს უძველეს დროიდამ ქალების კუთვნილობას შეადგენდა, მაგრამ შემდეგში როცა ნასწავლნი ექიმნი გაჩნდნენ და იმათ უფრო ზედმიწევნით შეისწავლეს ბებიობა, ამიტომ ეს ხელობა კაცების ხელში გადავიდა. ამასთან მოჰყვა ქალების წინააღმდეგობა, რომელთაც შეურაცხყოფილად ჩასთვალეს თავისი თავი ამ საუკუნით შექმნილი უფლების წართმევით და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს კაცებს. ქალების თავ-გამოდებით ბრძოლამ თავისი გაიტანა და სულ მოკლე ხან-

*) კვაკერები და უნივერსალისტები მწვალებლები არიან.

ნიერებას გამოიჩენს და ამ თანხას მთლად რაიმე საზოგადო საქმისთვის გადასდებს. ამნაირი საზოგადო საქმე ჩვენთვის ეხლა პროგიმნაზიაა. ამიტომ ძლიერ კარგს იზამს ჩვენი თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თუ მოკლე დროში კეთილშობილთა კრებას მოახდენს და დაადგენინებს, რომ რაც იმათ ქუთაისის ბანკიდგან თანხა ერგებათ, ოზურგეთის მომავალ პროგიმნაზიისთვის გადასდონ. ასეთ დადგენილების პირი რომ ბ-ნ ო—ძეს გაეგზავნოს მთავრობასთან წარსადგენად, მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოზურგეთში პროგიმნაზია უეჭველად გვექმნება. მაშ ვნახოთ ჩვენი თავად-აზნაურობის სურვილი ოზურგეთში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ რამდენად გულწრფელი და ძლიერი ყოფილა.

ყორჯი

# რუსეთი

—

ყველამ უწყის, რა ზარიცა აქვს ეგზამენს მოსწავლე ახალგაზდობისათვის. საეკზამენო ციებ-ცხელებას უმაღლესს სასწავლებლების მოსწავლენიც ვერ იცილებენ თავიდგან, თუმცა არა ერთხელ და ორჯელ ყოფილან გამოცდილნი. ამას ნათლად ჰმოწმობს ამ ჟამად გამოქვეყნებული ცნობა მოსკოვის უნივერსიტეტის მოსწავლეთა გამოცდის შესახებ. მუდამ დღე საეგზამენო დარბაზიდგან რამდენიმე გულ-შეწუხებული სტუდენტი გამოჰყავთ ხოლმე ხელით ამხანაგებსაო. იურიდიულ ფაკულტეტის პირველ კურსის სტუდენტთა შორის ერთს დღეს 3 კაცს შეუწუხდა გული. მეორე დღესაც ხელ-ახლად შეუწუხდათ გული. სტუდენტს ნ—ს ისეთ ნაირად წაუვიდა გული, რომ ამხანაგებმა დიდისტანჯვა-წვალების შემდეგ ძლივს გამოაბრუნეს. ჯერ ნ. გონებაში არ ჩაეგდოთ, რომ საეგზამენო დარბაზიდგან მეორე სტუდენტი თავ. ე. გამოიყვანეს გულ-წასული და ასეთი შემთხვევა ეგზამენების დროს ხომ ერთი და ორი არა ხდება ხოლმეო.

— სათეატრო უწყებაში ლაპარაკია აღძრული სახელოსნო სასწავლებლების დაარსების შესახებ ზოგიერთ მონასტერთან. ამ სასწავლებლებში მიღებულ იქმნებიან მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებიდგან გამორიცხულნი მოსწავლენი.

— რუსეთის სათეატრო საზოგადოებას განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ებრაელ არტისტთ ნება მიეცეთ იცხოვრონ იქ ქალაქებშიაც, სადაც კანონის ძალით არ შეუძლიანთ ცხოვრებაო.

— ამ ჟამად რუსეთის მარილის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღძრეს მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით მთავრობისაგან სესხი ავიღოთ ხოლმე მარილის საქმის საწარმოებლადაო.

### კერძო საიმპერატორო საეკონომიო საზოგადოებასთან დაარსებულის მოუსავლობით დიზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტისაგან.

1897 წლის მოუსავლობისა გამო რუსეთის მრავალ ადგილის მცხოვრებლები ჩავარდნენ დიდს გაჭირვებაში როგორც სარჩო-საკვების სიმცირის მხრივ, ისე მეურნეობის გავრცელებისათვის საჭირო თესლის გამოლევით. ყველაზედ ძლიერ დაზარალდნენ გუბერნიები: ვორონეჟისა, კურსკისა, ორლოვსკისა, რიაზანისა, სიმბირსკისა, ტულისა, ტამბოვისა, პენზენისა, სარატოვისა, კალუგისა, ნიჟეგოროდისა, სამარისა, ორენბურგისა, სტავროპოლისა, დონისა და ყუბანის ოლქები, აგრეთვე მრავალი მაზრა სხვა გუბერნიებისა, და მუდამ დღე ახალი ცნობებია ხოლმე გამოქვეყნებული, რომ აქა და აქ შიმშილობა ჩამოვარდა და სახადი გავრცელდაო. კერძო საიმპერატორო საეკონომიო საზოგადოებას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამ საერთო სახალხო გაჭირვებისათვის, რამდენიმე კრებაც შესწირა ხალხის გამოკვების საქმის გამორკვევას და 26 მარტს საზოგადოების წევრთაგან კომიტეტი დაარსა მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად.

კომიტეტს პირველ ნაბიჯის გადადგმისათანავე დახმარება აღმოუჩინეს სხვა-და-სხვა საზოგადოების წარმომადგენელთ და პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზდობამ. კომიტეტს მოუვიდა შემოწირულება, რომელიც გაეგზავნა ყველაზედ ძლიერ გაჭირვებულ მცხოვრებლებს. პირველადვე კომიტეტმა 5 გუბერნიის მცხოვრებელთა დასახმარებლად 800 მან. გაჰგზავნა. ეს დახმარება დიახ მცირეა, მაგრამ კომიტეტს ქველმომქმედთა იმედი აქვს და სთხოვს დაეხმარნენ როგორც ფულით, ისე იმ ცნობებით, თუ რომელ ადგილას უფრო დიდი გაჭირვებაა მოუსავლობისა გამო.

ყოველგვარი წვლილი დიდის მადლობით იქმნება მიღებული.

ადრესი: ს.-პეტერბურგი, საიმპერატორო კერძო საეკონომიო საზოგადოების მოუსავლობით დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტს (ზაბალკანის პრ., 33).

# უცხოეთი

—

### † ვილიამ ევარტ გლადსტონი

დღეს დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა ინგლისის შესანიშნავის საპოლიტიკო და საზოგადო მოღვაწის გლადსტონის გარდაცვალებისა. „დიდებული მოხუცი“, როგორც გლადსტონს მთელი განათლებული ქვეყანა ეძახდა, კარგა ხანია რაც საშიშოდ ავად გახდა. მკურნალებმა ჯერ ისევ ამ ერთისა თუ ორის თვის წინად დაჰკარგეს იმისის მორჩენის იმედი და დღე დღეზედ მოელოდნენ იმის გარდაცვალების საათს, რაც ხუთშაბათს, 7 მაისს დადგა.

ძნელად თუ მოიპოვება მთელ დედამიწის ზურგზედ ისეთი ცოტად თუ ბევრად განათლებული კაცი, ვისაც გლადსტონის სახელი არ გაუგონია და ვინც იმის თაყვანის მცემელი არა ყოფილა. მეცხრამეტე საუკუნის შესანიშნავ კაცთა შორის გლადსტონისთანა დიდ-ბუნებოვანი, დიდ-სულოვანი, დაჩაგრულთა და დამონავებულთა გულშემატკივარი და პატრონი მეორე ძნელად-და მოიპოვება. იმისთვის ეროვნებასა და სარწმუნოებას მნიშვნელობა არა ჰქონდა. საკმარისია, გავიხსენოთ ირლანდიის საქმე და ის მოღვაწეობა და თავგამოდება, რაც გლადსტონმა ამ საქმისათვის გასწია, რომ ამ კაცის მიმართ ყველას გული მადლობითა და თაყვანისცემით აღივსოს.

ვილიამ ევარტ გლადსტონი დაიბადა 1809 წელს დეკემბრის $^{17}/_{29}$-ს ქალაქ ლივერპულში. იმისი მამა ჯონ გლადსტონი, მდიდარი სოვდაგარი, კარგად განათლებული კაცი იყო და საზოგადო საქმეში დიდს მონაწილეობას იღებდა. 1819—1827 წლებში ის პარლამენტის წევრად იყო. ჯონი გარდაიცვალა 1851 წელს, დაბადებიდგან 87 წლისა. ჯონის ექვს შვილში (ორი ქალი და ოთხი ვაჟი) ვილიამი მესამე იყო. ვილიამს ჯერ ისევ პატარაობითვე ეტყობოდა დიდი ნიჭი, რომლის განვითარებაზედაც გავლენა ჰქონდათ იმის დედ-მამას. დედამ (ანნა რობერტსონი, შთამომავლობით შოტლანდიელი) შთაუნერგა მას ღრმა სარწმუნოებრივი გრძნობა და სიყვარული პოეზიისა, ხოლო მამამ გააცნო საპოლიტიკო წეს-წყობილება და მიმართულება. ჯერ ისევ 12 წლისა არც-კი იყო ვილიამი, როდესაც მამა უამბობდა ხოლმე სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ამბავს და ისიც გატაცებით ისმენდა. პირველ-დაწყებითი განათლება ვილიამმა თავისს, ოჯახში მიიღო, ხოლო 1821 წელს ის იტონის სასწავლებელში მიაბარეს, სადაც 1828 წლამდე დაჰყო და შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტში შევიდა. სწავლა დაასრულა 1832 წელს. პირველ ხანს გლადსტონი კონსერვატორული მიმართულებისა იყო, რაიცა აიხსნება მამისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის გავლენით. აი, გლადსტონი, რამდენისამე წლის შემდეგ, სხვათა შორის, რასა სწერდა ოქსფორდის უნივერსიტეტის შესახებ: „ოქსფორდიდგან ის ვერ გამოვიტანე, რაც უნდა გამომეტანა და რაც მხოლოდ შემდეგ შევიძინე, სახელდობრ, დაფასება და პატივის ცემა კაცის დაურღვეველისა და დაუფასებლის თავისუფლების დედააზრთა. აკადემიის წრეებში რაღაც ეჭვის თვალით უცქეროდნენ თავისუფლებას“. ოქსფორდში ყოფნის დროს შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგია და გონების გასამდიდრებლად რის შეძენაც-კი შეიძლებოდა ოქსფორდში, ყველაფერი შეიძინა. გლადსტონი მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა თვიურ ჟურნალის გამოცემის საქმეში. რედაქტორობის გარდა, ისე ნო-

---

ში ანნა პრესტონის მეთაურობით მთელი საბებიო კოლეჯი დაარსდა ფილადელფიაში. ანნა პრესტონმა დიდძალი ფული შესწირა ამ კოლეჯს და თვითვე დაიჭირა ფიზიოლოგიის პროფესორის ადგილი. მაგრამ კოლეჯმა ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოიტანა, რადგანაც პროგრამა მოკლე იყო და არც ვარგოდა. მაშინ ამ საქმეს სხვა ჭირისუფალი გაუჩნდა. ეს იყო ელისაბედ ბლეკველი. ელისაბედი ინგლისელი ღარიბი დედ-მამის შვილი იყო და პატარაობიდგანვე ემზადებოდა მკურნალად. მაგრამ რომელ სამკურნალო კოლეჯსაც-კი მიჰმართა, ყველამ უარი განაცხადა მის მიღებაზედ. თორმეტმა უმაღლესმა სასწავლებელმა უარი უთხრა, მაგრამ ელისაბედი თავისას არ იშლიდა და ბოლოს, როგორც იყო შევიდა ჟენევის კოლეჯში (ნიუ-იორკის შტატშია), საიდანაც ევროპაში წავიდა და სხვა-და-სხვა კლინიკები და უნივერსიტეტები მოიარა და დაათვალიერა. მისვლისათანავე დაარსა ქალების საავადმყოფო, რომელსაც ექიმი—ქალები განაგებდნენ და რომელშიაც მოსწავლე ქალებს თავისუფლად შეეძლოთ მეცადინეობა. ცოტა ხნის შემდეგ საავადმყოფოს გვერდითვე ელისაბედ ბლეკველის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა სამკურნალო კოლეჯი. ამ კოლეჯში გადიოდნენ მთელს სამკურნალო მეცნიერებას და იმდენად სრული და უნაკლულო იყო იგი, რომ ჩქარა ყველას ყურადღება მიიზიდა. ელისაბედის გარდა ამავე სარბიელზედ იბრძოდნენ ემელინა კლევკიენდა და ქ-ნი გლეისონისა, მეუღლე სახელ-განთქმულის ექიმისა. ამათ მთელი თავიანთი საცოცხლე ქალების საექიმო ასპარეზის მოპოვებას შესწირეს. ამავე დროს ქ. ბლეკველმა თავისის მეცადინეობით დაარსა თვით ნიუ-იორკში საქალებო სამკურნალო კოლეჯი, რომელიც იმდენად სრული და უნაკლულო აღმოჩნდა, რომ შემდეგში მის დაგვარად ჰმართავდნენ დანარჩენ კოლეჯებსა. ნიუ-იორკის კოლეჯის მიზანი ის იყო, რომ აემაღლებინა გონებრივ ექიმი ქალები და მიეცა მათთვის ჭეშმარიტი ცოდნა. ამის შემდეგ ჩქარის ნაბიჯით წავიდა საქმე და მრავალ სამკურნალო კოლეჯის გარდა თითქმის ყოველმა უნივერსიტეტმა კარი გაუხსნა ქალებს ბისფონისა, ბუფალოსა, მიჩიგანისა და სხვათა უნივერსიტეტები ამიერიდგან უარს აღარ ეუბნებოდნენ ქალებს, იგინი ეხლა პირ-იქით მათს მიზიდვას ცდილობენ.

აი ასე სანაქებოდ გაიტანეს ლელო ამერიკელებმა ქალებმა და მიაღწიეს თავისს დიდი ხნის სურვილს. ამ ჟამად ყოველი უმაღლესი სასწავლებელი სიხარულით იღებს მათ და ხალხიც დიდის პატივის-ცემითა და თავაზით ექცევა 1880 წელს მთელს შეერთებულს შტატებში 2,432 ექიმი ქალი იყო უმაღლესს სასწავლებლებში კურს დამთავრებული, რის შემდეგაც ეს რიცხვი თან და თან მატულობს და იზრდება. ამავ დროს მრავალ ექიმმა ქალებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს, როგორც სამკურნალო მეცნიერების კარგად მცოდნეებმა და მრავალ საუკეთესო თხზულებების დამწერლებმა. შუა რიცხვით ექიმ ქალს ამერიკაში წელიწადში 6,000 მანეთი ექმნება შემოსავალი. არიან მრავალნი ისეთნიც, რომელთაც 40—60,000 მანეთი და კიდევ მეტიცა აქვთ შემოსავალი.

თუმცა ამდენი გაჭირვება გამოიარეს ამერიკელმა ქალებმა სამკურნალო ასპარეზის მოსაპოვებლად, მაგრამ არა ნაკლები ბრძოლა და შრომა დასჭირდათ მეორე სარბიელის—ვექილობის მოსაპოვებლად. ამ სამოცი წლის წინად, როდესაც ქ-ნმა ბროდუელმა, რომელიც ვექილ ქმრის დახმარებით ემზადებოდა სავექილოდ, თხოვნა მისცა სასამართლოს ნება დამრთეთ ჩვეულებრივ გამოცდის შემდეგ ვექილობა დავიწყოვო, ცივი უარი მიიღო პასუხად. ამ უარმა უფრო გაუცხოველა ქალებს სურვილი ვექილობისა. ქ-ნმა ბროდუელმა ჟურნალის გამოცემას მოჰკიდა ხელი, რომლის მისწრაფებას და მიზანს ქალებისათვის ვექილობის სარბიელის მოპოვება შეადგენდა. ჟურნალმა ჩქარა სახელი გაითქვა და მთელის ამერიკის ყურადღება მიიქცია. არ გაუვლია ბევრს ხანს, იმავ სასამართლომ, რომელმაც წინად ქ-ნ ბროდუელს უარი უთხრა, თითონვე ნება დართო ქალების ვექილებად ყოფნას და საყოველთაოდ დააკანონა, რომ ქალებს არაფერი თანამდებობის დაჭერა არ უნდა აღეკრძალოთო. საყურადღებოა აგრეთვე ქ-ნის ფოლცის თავ-განწირული ბრძოლა, როცა ქმრის უბედურებით შეწუხებულმა და ყოველ-გზივ შევიწროვებულმა ვექილობის შესწავლას მოჰკიდა ხელი და სან-ფრანციკოს კოლეჯს თხოვნა მისცა ნება მომეცით ვაჟებთან ერთად მეც ვექილობა შევისწავლო, კოლეჯის მთავრობამ უარი უთხრა. ამ უარით შეწუხებულმა ქალმა კოლეჯის მთავრობას სასამართლოში უჩივლა, რომელსაც დაუმტკიცა კანონიერება თავისის თხოვნისა. კოლეჯიც რასაკვირველია, ამის შემდეგ იძულებული გახდა მიეღო იგი. შემდეგში ეს თავგანწირული ქალი შესანიშნავი ვექილი შეიქმნა და მთელს ამერიკაში სახელი გაითქვა.

ამ გვარადვე უნდა ჩაითვალოს მთელი ოჯახი ბ. პირისა, რომელშიც ქმარ-ცოლის გარდა, სამთავ მათი ქალიშვილი ვექილები არიან. სამ-თავ ქალმა უნივერსიტეტში დაამთავრეს იურიდიული ფაკულტეტი და ისეთი პატივი და ყურადღება დაიმსახურეს მთელის საზოგადოებისა, რომ ყველა მათთან მიდის საქმისათვის.

კიდევ მრავალ მაგალითებს ჩამოვთვლიდი, მაგრამ ესეც საკმარისია. ჩვენ ეხლა ამას ვიტყვით, რომ ამერიკამ ქალების ამ უფლების მინიჭებით არამც თუ წააგო საქმე, პირიქით მოიგო. აგერ 15—20 წელიწადია, რაც ქალებს ეს უფლება მიენიჭა და მთელი ამერიკა ნათლათ დარწმუნდა რომ ქალებს სამართლიანად შეუძლიანთ დაიჭირონ ეს ადგილი. ამ ჟამად ქალები სამ იურიდიულ ჟურნალსა სცემენ და მთელი საზოგადოება დააარსეს ქალთა-იურისტთა. ამას გარდა დაარსდა ამხანაგობა ქალთა ვექილთა, რომლის მიზანსაც შეადგენს: 1) გამრავლება იურიდიულ სასწავლებლებისა; 2) აცილება ყოველივე დაბრკოლებისა ვექილობისა და მოსამართლის ადგილის დასაჭერად; 3) ეცადოს ვექილ-ქალთა მდგომარეობა ყოველ გზით გააუკეთესოს.

ამას გარდა სასამართლომაც ბევრი მოიგო ამითი. სასამართლოებში ისეთი ჩხუბი, ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვების ხმარებას ადგილი აღარა აქვს, რადგანაც ქალებისა ყველას ეხათრება და პატივსა სცემს. სასამართლოს ეხლა უფრო სიმშვიდე და სიწყნარე ეტყობა, ვიდრე წინად. თუმცა არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ქალებს სრულად მიეღწიოთ თავიანთ სურვილისათვის, რადგანაც ჯერ არ ყოფილა მაგალითები, რომ ქალები მოსამართლებათ ყოფილიყვნენ. რასაკვირველია, ქალები ამასაც ჩქარა მიაღწევენ და მათი სურვილი და ნდომა ჩქარა სრულიად განხორციელდება.

აი ამ გვარი თავგანწირულის ბრძოლით ქალებმა გაიტანეს ლელო და თავისი სურვილი განახორციელეს. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ ჟამად ამერიკაში მრავალი ქალები არიან მქადაგებლებად, პასტორებად, ჟურნალისტებად, ექიმებად, ვექილებად და სხ. მალე მოვა ის დროც, როცა სრულიად გათანასწორდნენ ქალთა და კაცთა უფლებანი ამერიკაში და ქალმა ისეთივე საპატიო ადგილი დაიჭიროს, როგორიც კაცს უჭირავს.

შ. კავკაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი არ გამოვიდოდა ამ ჟურნალისა რომ იმის მრავალი წერილი, ლექსი, თარგმანი არა ყოფილიყოს. ოქსფორდში გლადსტონმა დაარსა სალიტერატურო წრე, სადაც სხვა-და-სხვა საგნის შესახებ ლექციებს კითხულობდა. დიდს მონაწილეობას იღებდა გლადსტონი აგრეთვე მეორე საზოგადოებაშიაც, სახელად „Union“-ში. იმისმა მხურვალე სიტყვებმა მაშინვე მიიქციეს ამხანაგების ყურადღება.

უნივერსიტეტიდგან გამოსვლისას, გლადსტონს აზრადა ჰქონდა სასულიერო უწყებაში დაეწყო სამსახური, მაგრამ მამა წინ აღუდგა შვილის ასეთს განზრახვას. ამის გამო, ვიდრე რაიმე საქმეს ამოირჩევდა, გლადსტონმა ევროპაში მოგზაურობა დაიწყო და ნახევარი წელიწადი იტალიაში დაჰყო, სადაც დაუახლოვდა ნიუკესტლის ჰერცოგს (რომლის შვილიც, ლორდ ლინკოლნი გლადსტონის ამხანაგი იყო ოქსფორდში). ამ ჰერცოგის წინადადებით, გლადსტონმა პარლამენტის არჩევანების დროს ყუთი დაიდგა დეპუტატის თანამდებობაზედ და 1832 წლის 15 დეკემბერს არჩეულიც იქმნა ტორიის დასის მიამხრეთა მიერ. (მკითხველებს მოეხსენებათ უთუოდ, რომ ინგლისში ორი უმთავრესი დასია: ტორი და ვიგი, პირველი კონსერვატორულის მიმართულებისა, ხოლო მეორე—ლიბერალურისა). პირველი სიტყვა პარლამენტში გლადსტონმა 1833 წელს 17 მაისს წარმოსთქვა მონობის გაუქმების შესახებ. ამ დღიდგან დაწყებული გლადსტონი მხურვალე მონაწილეობას იღებდა პარლამენტის ყველა საქმეში. მალე მას მთელს ინგლისში გამოჩენილის მჭერმეტყველის სახელი გაუვარდა. 1834 წელს რობერტ პილმა, მაშინდელის სამინისტროს მეთაურმა, გლადსტონი ხაზინის უმცროს ლორდად დანიშნა, ხოლო 1835 წელს ახალშენების გამგე მინისტრის თანაშემწედ. მაგრამ იმავე წელს პილის სამინისტრო დაეცა და გლადსტონი ოპოზიციაში ჩაერია.

თავისუფალ დროს გლადსტონი ლიტერატურას ანდომებდა. განსაკუთრებულ დიდის გულმოდგინებით შეუდგა იგი ჰომეროსის, დანტეს, წმ. ავგუსტინის თხზულებათა შესწავლას.

1841 წელს, როდესაც რობერტ პილის ახალი სამინისტრო შესდგა, გლადსტონი დანიშნულ იქმნა ვაჭრობის სამინისტროს ბიუროს ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1843 წელს პრეზიდენტად. ამ დროს გლადსტონმა ბევრი იმუშავა და დიდი მონაწილეობა მიიღო პურის გარდასახადის გაუქმების განხილვის საქმეში. 1847 წელს პარლამენტის ხელ-ახალის არჩევანების დროს გლადსტონი დეპუტატად არჩეულ იქმნა ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ, მაგრამ ამდროს იგი უკვე შორდებოდა კონსერვატორებს და ლიბერალებს უახლოვდებოდა. უკანასკნელად მან კონსერვატორულ დასს თავი მიანება 1852 წელს. ამ წელს დაეცა ძველი სამინისტრო, რომლის წევრებადაც მარტო კონსერვატორები იყვნენ და ახალი შესდგა-კონსერვატორებისა და ლიბერალებისაგან. ამ სამინისტროში გლადსტონმა ფინანსთა მინისტრის ანუ ხაზინის ლორდის თანამდებობა დაიჭირა და მალე თავი ისახელა როგორც გამოჩენილმა ფინანსისტმა.

შემდეგი მოღვაწეობა გლადსტონისა სრულიად დაკავშირებულია ინგლისის საზოგადო ისტორიისთან. ვისაც ამ მოღვაწეობის შესწავლა უნდა, იმან ამ ხნის ინგლისის საზოგადო ისტორია უნდა გაიცნოს. ამიტომ ჩვენ აქ სულ მოკლედ განვიხილავთ გლადსტონის მოღვაწეობის ისტორიას. ფინანსთა მინისტრად გლადსტონი 1895 წლამდე იყო. 1859 წ. სამინისტროს პრეზიდენტის პალმერსტონის დროს გლადსტონი ხელ-ახლად იქნა მიწვეული ფინანსთა მინისტრად. 1865 წელს ახალის არჩევანების დროს ოქსფორდმა აღარ აირჩია გლადსტონი, რადგანაც იგი ლიბერალებს მიემხრო. ამ წელს სამხრეთ ლანკაშირში აარჩიეს ის დეპუტატად. 1865 წელსავე სალიბერალო დასმა გლადსტონი თავის მეთაურად, ლიდერად აირჩია.

1868 წელს გლადსტონს მიანდეს ახალის სამინისტროს შედგენა. გლადსტონის პირველმა სამინისტრომ 1874 წლამდე გასტანა. ამ ხნის განმავლობაში შემდეგი საქმე იქმნა გაკეთებული იმისის მეთაურობით: 1869 წელს გაუქმებულ იქმნა ის კანონი, რომლითაც ანგლიკალური სარწმუნოება სახელმწიფო სარწმუნოებად ითვლებოდა ირლანდიაში, სადაც უმრავლესობა კათოლიკენი არიან, 1870 წ. გამოცემულ იქმნა ირლანდიის მიწად-მფლობელობის სიგელი, 1870 წ. პირველ-დაწყებითი საერო განათლების საქმე საუკეთესო ნიადაგზედ იქმნა დაყენებული, 1871 წ. გაუქმებულ იქმნა სამხედრო თანამდებობათა გასყიდვა და მრავალი სხ. 1880 წელს ხელ-ახლად მიანდეს გლადსტონს სამინისტროს შედგენა. ამ სამინისტრომ 1885 წლამდე გასტანა. შემდეგ 1886 წელს შესდგა გლადსტონის მესამე სამინისტრო. აი, ამ წლიდგან მიაქცია გლადსტონმა განსაკუთრებული ყურადღება ინგლისის მიერ დაჩაგრულ, გაღარიბებულ და თითქმის მიწასთან გასწორებულ ირლანდიას და მოიწადინა ამ ქვეყნისათვის თვით-მმართველობის მინიჭება. ამ საგნის შესახებ მან ბილლი შეიტანა პარლამენტში, მაგრამ არ შეიწყნარა იგი, რის გამოც გლადსტონმა პარლამენტი დაითხოვა. შემდეგ არჩევანების დროს მოწინააღმდეგეთ გაიმარჯვეს და სამინისტრო კონსერვატორებმა ჩაიგდეს. გლადსტონის დამარცხებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ, ირლანდიის საქმის გამო, მრავალმა ლიბერალმა მიანება თავი გლადსტონს და ცალკე დასი შეადგინა. გლადსტონის მომხრეებს „გლადსტონელებს“ ეძახდნენ. ამ დღიდგან გლადსტონმა თავის სიცოცხლის საგნად ჰომრულის განხორციელება დაიდო. პარლამენტში, თუ გარედ, ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ირლანდიას თვით-მართველობა უნდა მიენიჭოსო. 1892 წლის არჩევანების დროს ლიბერალებმა გაიმარჯვეს და გლადსტონს მიენდო სამინისტროს შედგენა. ამ რიგად ეს გლადსტონის მეოთხე სამინისტრო იყო. 1893 წელს გლადსტონმა ხელ-ახლად წარუდგინა პარლამენტს თავისი პროექტი ირლანდიის თვით მმართველობის შესახებ, მაგრამ პარლამენტმა კიდევ არ შეიწყნარა იგი. ამის გამო გლადსტონმა პარლამენტს თავი დაანება. თუმცა გლადსტონმა სისრულეში ვერ მოიყვანა თავისი განზრახვა და ირლანდიას თვით-მართველობა ვერ მიანიჭა, მაგრამ იმის მიერ დაწყებულ საქმეს იმდენი მომხრე და თანამგრძნობელი აღმოუჩნდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ იგი განხორციელებულ იქმნება.

რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, გლადსტონის დევიზი იყო: დაჩაგრულის აღდგენა და დამონავებულის განთავისუფლება. გლადსტონმა დიდი შრომა მიიღო ბალკანეთის ერების განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეში. მან თავისის ძლიერის ხელით მრავალს მადა-აღძრულს სახელმწიფოს შეაკვეცა ფრთები. ყველას ეხსომება, ამ ორის წლის წინად რა მხურვალე მონაწილეობა მიიღო სომხების საქმეში.

გლადსტონი ცნობილია როგორც ლიტერატორიც. განსვენებულმა რამდენიმე წიგნი გამოსცა ჰომეროსის შესახებ. გარდა ამისა, მრავალი წერილი დასტოვა ფილოსოფიურისა, სღვთისმეტყველო, საპოლიტიკო შინაარსისა. 1879 წელს გამოცემულმა ამ წვრილმა წერილებმა შვიდი ტომი შეადგინეს. უკანასკნელ დროს მან ბევრი დასწერა ირლანდიის შესახებ. იმის სიტყვების სრულს გამოცემას 1892 წელს შეუდგნენ. ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ 10 ტომზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

გლადსტონმა 1839 წელს ცოლად შეირთო გლინნის ქალი კატერინა. იმისაგან ჰყავდა სამი შვილი: უფროსი ვილჰელ-ჰენრი (1840—91 წ.), პარლამენტის წევრად იყო, ერთხანად ფინანსთა მინისტრადაც; შუათანა სტეფანე—პასტორად (მღვდლად) არის ჰავერდენში და მესამე გერბერტ-ჯონი—ოქსფორდის უნივერსიტეტში ისტორიის ლექტორად იყო, ხოლო დღეს პარლამენტის წევრია. 1880 წ. ფინანსთა მინისტრად იქმნა არჩეული.

## ნაკვესი

—

ექიმთან.

ქ-ნო, რამდენის წლისა ბრძანდებით? ჩემთვის საჭიროა თქვენის წლოვანების გამორკვევა.

— გინდათ გაიგოთ, რამდენად მოხუცებული ვარ?

— არა, რამდენად ახალგაზდა ბრძანდებით.

— ჩემის წლოვანების მოწმობა დავკარგე და ვერას გეტყვით.

— გმადლობთ, ეგეც კმარა, დაასკვნებით უკვე მივხვდი.

### შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ სოფ. თიანეთიდგან მღვდელ იაკობ ჯანელიძისაგან 7 მან. მეფის ერეკლე მეორეს ფონდის სასარგებლოდ. ფული შემოუწირავთ: მღ. სვიმონ ბაკურაძეს—3 მ., მღ. იაკობ ჯანელიძეს—3 მ. და ნ. ჯანელიძეს—1 მ., სულ 7 მან. ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 მაისი

**ლონდონი.** გლადსტონი გარდაიცვალა.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა კომისია ურჩევს შეერთებულ შტატებს შეიერთოს ჰავაის კუნძულები. კომისიის მოხსენებაში სწერია, რომ ამ კუნძულების შემოერთება არ ეწინააღმდეგება მონროეს მოძღვრებას, რომლითაც ევროპის დიდ სახელმწიფოებს აკრძალული აქვთ ამერიკის ანუ მახლობელ კუნძულების საქმეებში გარევა.

**მადრიდი.** ესპანიის გემებიდგან დაინახეს კაიბარიენთან, რომ ჰავანიდგან ამერიკის გემები გამოვიდნენ და ყუმბარები დაუშინეს; ამერიკის გემები წავიდნენ. ჰავანას საკმაოდა აქვს სურსათი. ყოველის მხრიდგან სანოვაგე ბევრი მოაქვთ, სხვათა შორის შეერთებულ შტატებიდგანაც-კი.

8 მაისი

**ჰავანა.** გერმანიის კრეისერი „ჰეირ“ აქ მოვიდა. როდესაც ამ კრეისერმა ამერიკის გემებს შუა გაიარა ამ უკანასკნელთ ყურადღება არ მიაქციეს, მათ არც მისაგებებელი ყუმბარები დასცალეს და არც დროშები აღმართეს. ნავთ-სადგურში შესვლისათანავე გემის უფროსი ნაპირზედ გადავიდა.

ამერიკის სამმა გემმა ყუმბარების სროლა დაუწყეს სანტ იაგოს სიმაგრეს, რომელიც კუბაშია, მაგრამ ვერაფერი ზარალი ვერ მიაყენეს.

**ათინა.** რუსეთის ხელმწიფის დაბადების დღეს პირგოსში, სადაც ამ ჟამად მეფის ოჯახი სცხოვრობს, გარდახდილ იქმნა პარაკლისი, მეფისა, დედოფლისა და მცხოვრებლების თანადასწრებით. ხელმწიფე იმპერატორის პატივსაცემლა არა ერთ გზის გაისმა ხალხის ხმა.

**ლონდონი.** გლადსტონი მშვიდობიანად გარდაიცვალა დილის 5 საათზედ. მან ნაშუადღევის პირველ საათზედ დაიძინა და სიკვდილამდის არ გაჰღვიძებია. მეუღლე და ოჯახის ყველა წევრი ავადმყოფის ლოგინს არ მოჰშორებიან.

**მადრიდი.** ჰავანიდგან მოსული ორი ოფიციალური დეპეშა ამოწმებს, რომ ამერიკის ორი გემი სანტ-იაგოს წინ გაჩნდა და ამ სიმაგრეს სროლა დაუწყო, მაგრამ ზარალი ვერ მიაყენაო. თითონვე დაზიანდნენ რა ეს გემენი უკან დაბრუნდნენ.

**მადრიდი.** ისპანიის ესკადრა კუბის ნავთ-სადგურში სანტ-იაგოში მოვიდა. გზაზედ არაფერი შემთხვევია.

კასტილიო უარს აცხადებს და შინაგან საქმეთა მინისტრობას არ კისრულობს.

**პეკინი.** პრინცი ჰენრიხი დიდის გალავნის დასათვალიერებლად გაემგზავრა. პრინცის დაბრუნებას კვირას მოელოდებიან. პრინცის პატივსაცემლად გამართული დღესასწაულები დასრულდა ბალით, რომელიც რუსეთის საელჩოში იქმნა გამართული.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

15 მარტს ჩემის თაოსნობით გამართული იყო ქუთაისს ქართული სადამო დრამატიული საზოგადოების სასარგებლოდ. მთელის ამ სადამოს შემოსავალი, სავალდებულო ხარჯების გარდა, დარჩა 347 მ. შემოსწირეს ამ საქმეს თ. ი. მ.—6 მან., ბ. კ. ჩ.—5 მან., № 4 მან. 75 კაპ., №№-3 მან., სულ შესდგა 365 მან. 75 კაპ., რომელიც გარდავეცი ხსენებულ საზოგადოების წარმომადგენლებს ქუთაისში.

დასასრულ ჩემს უგულითადესს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში და დახმარება აღმოგვიჩინა და ამასთან შემომწირველთაც.

თავადის დადიანის ასული ციცინო ერისთავისა

## განცხადებანი


## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროხელოვნურად მინანქრით ნამუშევარდა აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)


### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად ამით აცხადებს, რომ 11, 13, და 16 თიბათვეს ამა 1898 წლისა ს ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სახაზინო თუ საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ ნაღდი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 11, 13, და 16 თიბათვეს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 30 თიბათვეს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ს თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი გარდასახადი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს. ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) ტფილისისა 11 თიბათვეს, 2) ტფილისს გარეშე ქალაქებისა 13 თიბათვეს, ბ) სოფლის მამულებისა 16 თიბათვეს ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 30 თიბათვეს 1898 წელსა.

**სხოლიო.** ვინც მოისურვებს ვაჭრობით შეძენას იმ მამულებისას, რომლებიც მოკლე ვადით არის დაგირავებული, უნდა წარადგინოს, დარჩენილ გარდასახადის გარდა, კიდევ 10% თავნის ვალისა.

### ქალაქის მამულები

ტფილისისა

არნაუტოვები არტემა და დავით სერგეის ძენი: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 საჟ. და 2½ ოთხ-კუთხი არშინი, ქ. ტფილისში, 4 ნაწ., იარმუკაში. თავ-ვალი 2148 მ. 61 კ. შემ. გარ. 173 მ. 33 კაპ. სულ 2321 მ. 94 კ.